№10

ოქტომბერი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

„ღვინის ფესტივალი 2023“ ბოლნისში

გვ.2

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის დელეგაციას უმასპინძლა

გვ.3

ბოლნისში „ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“ ჩატარდა

გვ.3

„ღვინის ფესტივალი 2023“ ბოლნისში

მეღვინეობით, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით და დამახასიათებელი გემოვნური თვისებებით განთქმულმა ქალაქმა, ძველ გერმანულ უბანში „ღვინის დღეებს“ უმასპინძლა. იქ მისულ სტუმრებს ადგილობრივი მეღვინეების მიერ წარმოებული მშრალი, ნახევრად მშრალი, წითელი და თეთრი ღვინის დაგემოვნება შეეძლოთ. ღონისძიებას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული ფესტივალი „ღვინის დღეები 2023“ დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით, წისქვილის ქუჩაზე ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია გამოიფინა, გამოცხვა შოთი, მოიხარშა თათარა, ამოევლო ჩურჩხელა და საწნახელში დაიწურა ყურძენი, ადგილზე შესაძლებელი იყო ღვინის კოქტეილის დაგემოვნებაც.

სახალხო დღესასწაული ყველა სეგმენტისთვის იყო გათვლილი. პატარებისთვის მოეწყო გასართობი სივრცეები სხვადასხვა განმავითარებელი აქტივობებით.

ღვინის დღეები საქართველოში მიზნად ისახავს განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ადგილობრივი ვაზის ჯიშების შენარჩუნებასა და გამრავალფეროვნებას.

სახალხო დღესასწაული ბოლნისში ანსამბლ „ალილოს“, ბენდი ¼ და ლინდა ადამიას კონცერტით დასრულდა.

ღონისძიებას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნიკა კობახიძე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის დელეგაციას უმასპინძლა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის დელეგაცია ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა მოინახულეს, ბოლნისის მუზეუმი დაათვალიერეს, ქართულ-გერმანული ღვინის სახლში ბოლნისელი მეღვინეების მიერ წარმოებული ღვინო დააგემოვნეს და ქვემო ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანული ხალიჩების მქსოველის ნამუშევრებს გაეცნენ. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა ბოლნისის მუზეუმში შეხვედრა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი დოხტურიშვილთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილე ლია გიგაურთან, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით შერაზადიშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანთან, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერთან კენან ომაროვთან, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახა კობერიძესთან და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლონგინოზ გასანოვთან ერთად გამართეს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეთნიკურ საკითხთა ეროვნული კომისიის დელეგაციის ვიზიტის მიზანს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული ვითარების ადგილზე გაცნობა წარმოადგენდა.

ბოლნისში „ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“ ჩატარდა

ფესტივალი კონსერვატორიის სტუდენტურმა ორკესტრმა დახურა, მსმენელებს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტი N3 და სიმფონია N1 შესთავაზა.

„ბოლნისის მუსიკალური ფესტივალი“ ახალგაზრდა მუსიკოლოგთა ასოციაციის მიერ, დირიჟორ გიორგი პაპიაშვილის ინიციატივით ჩატარდა. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და დამფუძნებელი ბოლნისელი კომპოზიტორი ლევან ქუქჩიშვილია.

ფესტივალი, რომლის მიზანი კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაა, ბოლნისში მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

15-დან 19 ოქტომბრის ჩათვლით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში „ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“ გაიმართა. ღონისძიება, კულტურის სახლის სცენაზე, კამერული და საგუნდო მუსიკის შემსრულებელთა კონცერტით გაიხსნა. მუსიკოსებმა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულეს.

„ახალგაზრდა მუსიკოლოგთა ასოციაციამ“ 5 დღის მანძილზე, ბოლნისელი საზოგადოებისთვის, მრავალფეროვანი მუსიკალური საღამოები მოაწყო, რომელიც დატვირთული იყო მასტერკლასებით და ვორქშოფებით სადირიჟორო ხელოვნებაში.

მედიატური მარნეულის მუნიციპალიტეტში

6 ოქტომბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მედიატურის ფარგლებში ქვემო ქართლის სხვადასხვა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა სოფლებში: დიოკნისეში, წერეთელში, მარადისში, წოთელსოფელსა და ახლოლალოში სოფლის მეურნეობის ინოვაციური ტექნოლოგიები დაათვალიერეს და ადგილობრივი ფერმერების პრაქტიკას ადგილზე გაეცნენ, რომელიც შვეიცარული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN მიმდინარე პროექტის „კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობა PRAISE Marneul"-ის საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელდა.

გოჩა პაქსაძე სოფელ მარადისიდან ერთ-ერთია, რომელიც საგრანტო პროექტში საინიციატივო ჯგუფით ჩაერთო და თანადაფინანსებით ის მრავალწლიანი პრობლემა მოაგვარა, რომელიც აქამდე აწუხებდა. როგორც თავად ამბობს „წყლის გარეშე მთელი წლის ნაშრომ-ნალოლიავები უხმებოდა და ეს მისი ოჯახის კეთილდღეობაზეც აისახებოდა".

გოჩა პაქსაძე: გავიგე პროექტის შესახებ, 5 კომლისგან შევქმენი საინიციატივო ჯგუფი, გავეცანით ყველა დეტალს და მივიღეთ მონაწილეობა. სწორედ მათი მხარდაჭერით, თანაგადახდით – 80-20%, მოვაწყვეთ ქა, სარწყავი წყლით. წელს უხვ მოსავალს ველოდებით, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ს და შვეიცარულ ორგანიზაცია HEKS/EPER-ს.

სოფელ დიოკნისეში მცხოვრები თენგიზ შაინიძისთვის აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანი და დროული აღმოჩნდა, მას წლების მანძილზე ჰექტრობით მიწის დამუშავება და მოსავლის აღება ხელით უწევდა. როდესაც გაიგო საგრანტო პროექტის შესახებ, გაითვალისწინა ყველა მოცემული პირობა და

თანადაფინანსებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - ტრაქტორი შეიძინა, როგორც თავად აღნიშნავს „შეუმსუბუქდა ფიზიკური დატვირთვა და დამატებითი შემოსავლის წყაროც გაუჩნდათ ოჯახში".

მახირ მამედოვმა შესანახი- სამაცივრე მეურნეობისთვის, მზის პანელების დამონტაჟებაზე საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. ელექტროენერგიის დაზოგვამ, ბენეფიციარს მისცა საშუალება, დანაზოგი თანხით ისევ ბიზნესი განავითაროს და გააფართოოს, რაც მისი ოჯახის კეთილდღეობაზე აისახება. მახირ მამედოვი: „2017 წლიდან მაქვს შესანახი მაცივრები და საჩირე. საგრანტო პროექტში გავიმარჯვე და დამიფინანსდა. ეს პანელები მიზოგავს ელექტროენერგიის მოხმარებას. აქამდე გაცილებით ძვირი მიჯდებოდა ბიზნესის წარმოება. მადლობა CENN-ს და შვეიცარულ ორგანიზაცია HEKS/EPER-ს."

სანდრო გუჯაბიძე, სოფლის მეურნეობის განვითარების ოფიცერი:

-კლიმატური ცვლილებების პირობებში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფერმერებმა შეძლონ სოფლის მეურნეობის ისე მოწყობა, რომ გაუმკლავდნენ თანამედროვე გამოწვევებს, რომელიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს. პროექტის ფარგლებში თანამედროვეტექნოლოგიების შესახებ ვატარებთ სხვადასხვა ტრენინგებს ცნობიერების ასამაღლებლად და სოფელ მარადისში მოვაწყვეთ კლიმატგონივრული ტექნოლოგიების სადემონსტრაციო ნაკვეთი.

მედიატური მარნეულის მუნიციპალიტეტში „კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობა PRAISE MARNEULI" პროექტის ფარგლებში CENN-ის მიერ შვეიცარული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, რომლის მიზანია მოხდეს ცნობიერების გაზრდა სოფლის მეურნეობის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის აუცილებლობის შესახებ.

მასალა მოამზადა ჟურნალისტმა მარინა გავაშელმა, პროექტის „კლიმატის ცვლილებების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობა PRAISE MARNEULI" ფარგლებში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლას საჩუქრად ინტერაქტიული დაფა გადასცა

საქართველოს მასშტაბით 2022-2023 აკადემიური წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის მიხედვით, 43 სკოლიდან 5 გამარჯვებულს შორის ქალაქ ბოლნისის 5 საჯარო სკოლა დასახელდა და ყველაზე დემოკრატიული სკოლის სტატუსით დაჯილდოვდა. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსთან და ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელთან ერთად, სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს მიღწეული წარმატება მიულოცა და საჩუქრად ინტერაქტიული დისპლეი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული სკოლების გამოფენა-კონფერენცია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში წელს პირველად გაიმართა.

USAID-ის დაფინანსებით, სამოქალაქო განათლების მასშტაბური ხუთწლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია თანამშრომლობა საქართველოს 650 სკოლასთან, მიზნად ისახავს სამოქალაქო განათლების სწავლების გაძლიერებას და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდას. პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოში სამოქალაქო განათლების განვითარების შემდეგ საფეხურზე აყვანას.

პროგრამა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დემოკრატიული ჩართულობის გაძლიერება სკოლებში; კერძო სექტორის ჩართულობა სკოლებში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობისთვის; ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული ჩართულობის პროცესში.

ათეული წელი საქმეში, რომელიც თავგანწირვას, დისციპლინასა და წესრიგს მოითხოვს, გზა - მუსიკის სიყვარულიდან, საპატიო მოქალაქემდე

ჩვენი ქალაქის თვალსაჩინოება, დიდი მუსიკალური საგანძური, ადამიანი, რომელიც არაერთი წელია ქმნის შემოქმედებას, ზრდის თაობებს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო მანერით და საუკეთესო რეპერტუარით. ის ზრდის ტოლერანტ, პატრიოტ და მუსიკალურად განათლებულ თაობებს. ხორმეისტერი ნინო დვალიშვილი, ის პროფესიონალიზმისთვის, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობისთვის, ერთგულებისთვის და უდიდესი ღვაწლისთვის, მიმდინარე წლის „ბოლნისქალაქობის“ დღესასწაულის ცერემონიაზე, ბოლნისის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს.

-ქალბატონო ნინო, „ბოლნისქალაქობის“ დღესასწაულზე, საპატიო მოქალაქედ დაგასახელეს, როგორია თქვენი რეაქცია?

-პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაჟორიტარ დეპუტატს გოგი მეშველიანს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის არჩევისა და წოდების მინიჭების სათათბიროს საბჭოს თითოეულ წევრს, კულტურის სამსახურს, სამუსიკო სკოლას, საჯარო სკოლის კოლეგებს, თითოეულ ბოლნისელს აღიარებისთვის, დაფასებისთვის, სითბოსთვის. ჩემთვის მოულოდნელი იყო საპატიო მოქალაქედ დასახელება, მადლიერი და გახარებული ვარ,ეს სტატუსი ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია.

-მოგვიყევით თქვენს შესახებ, ვინ არის ნინო დვალიშვილი?

-ნინო დვალიშვილი არის თავის პროფესიაზე, საქმეზე შეყვარებული, ერთგული, პრინციპული თავის გადაწყვეტილებებში. არ ვუშინდები სიახლეებს, სიძნელეებს, მუსიკა მოითხოვს თავგანწირვას, დისციპლინასა და წესრიგს.

-მთელი თქვენი ცხოვრება პროფესიულად უკავშირდება ბავშვებს, რას ნიშნავს თქვენთვის მათთან მუშაობა?

-დღემდე კეთილსინდისიერად ვემსახურები ჩემს პროფესიულ საქმიანობას. ბავშვებთან მუშაობა მოითხოვს პასუხისმგებლობას, დიდ ენერგიასა და სიყვარულს. რაც მე მგონი კარგად გამომდის. ბავშვებისგან ვგრძნობ გულწრფელ პატივისცემასა და სიყვარულს. ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავს, თითოეული ბავშვის შრომას ვაფასებ და ვამაყობ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს მუსიკა იყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

-თქვენ და მუსიკა.

-მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია. არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში წუთი, დღე მუსიკის გარეშე. მუსიკა თავისთავად უნივერსალური ფენომენია. ერთია გიყვარდეს მუსიკა ან ემსახურებოდე მუსიკას. თავისი დანიშნულება აქვს და გარკვეული ტიპის განწყობას ქმნის.

- როგორ ფიქრობთ, არის გემოვნებიანი მუსიკის მოსმენის დეფიციტი?

-ჩემი აზრით, ყველა ადამიანი უსმენს იმ მუსიკას, რაც მას შეეფერება.

-თქვენ ერთდროულად მოღვაწეობთ როგორც საჯარო, ასევე სამუსიკო სკოლაში, როგორ ანაწილებთ დროს?

- ჩემი დღის რეჟიმი იწყება დილის 9 საათიდან და ხშირად საღამოს 21 საათამდეც გრძელდება. ვმუშაობ ს.ს. ორბელიანის სახელობის 1 საჯარო სკოლაში, ზაურ ხიჯაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში, კულტურის სახლში ანსამბლ „ბოლნისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. ყველა სამსახურში სრული პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩემს საქმეს.

-თუ გაქვთ თავისუფალი დრო და რისი კეთება გიყვართ ამ დროს?

-იშვიათად მაქვს თავისუფალი დრო და ამ დროს ოჯახთან ერთად ვატარებ.

-მოღვაწეობის მანძილზე არაერთი პრიზითა და გრანპრით დაჯილდოვდით, მოგვიყევით თქვენს მიღწევებზე.

-დაარსებიდან დღემდე გოგონათა აკადემიური გუნდი „ბოლნისი“ ყოველწლიურად იღებდა მონაწილეობას რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე. 18 წლის განმავლობაში ბევრი ჯილდო და პრიზი გვაქვს მიღებული: გრან-პრი, პირველი ადგილი, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები, დიპლომები. ბევრი თაობა მყავს გაზრდილი, თითოეული ბავშვის წარმატებებით ვამაყობ.

2006 წელს ჩამოვაყალიბე ბიჭუნათა ანსამბლი ,,ბოლნისი", რომელსაც დღემდე ვხელმძღვანელობ. ანსამბლი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე (უკრაინა, ბულგარეთი 1 ადგილი), ასევე არაერთგზის დაჯილდოებულია: 1 ადგილით, ,,გრან- პრით", ვერცხლის მედლებითა და საპატიო სიგელებით. პარალელურად ვხელმძღვანელობ სამუსიკო სკოლის აკადემიურ გოგონათა გუნდს, რომელიც ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე. რეპერტუარში გვაქვს როგორც ტრადიციული ქართული მუსიკა, საგალობელი, ასევე პოპულარული მსოფლიო ერების სიმღერები. გუნდებთან გაწეული ჩემი დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომა არაერთხელ არის დაფასებული სამადლობელი წერილითა და საჩუქრით. ანსამბლი „ბოლნისი“ დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ეროვნული სამოსით (33 ბიჭუნა შეიმოსა სრული კომპლექტით). 2008 წ. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ კახა ცაბაძემ გამოგზავნა სამადლობელი წერილი მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე. 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტისგან მივიღე საუკეთესო პედაგოგის წოდება. 2010-2014 წლებში ვიყავი ბოლნისის საკრებულოს დეპუტატი. დღემდე კეთილსინდისიერად ვაგრძელებ ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას. ვზრდი ტოლერანტ, პატრიოტ, მუსიკალურად განათლებულ თაობას.

-რა არის ყველაზე მთავარი თქვენს ცხოვრებაში?

-მთავარი ჩემს ცხოვრებაში არის ადამიანური ურთიერთობები, პროფესიონალური ზრდა, კეთილსინდისიერად ვემსახურო ჩემს საქმეს. ბევრი თაობა აღვზარდო მუსიკის სიყვარულით.

- თქვენს პროფესიას ასაკი აქვს?

-მუსიკას არც ასაკი აქვს, არც ეროვნება.

- წარმატება ჩემთვის ნიშნავს...

-წარმატება ჩემთვის მოტივაციაა.

-ყველაზე მნიშვნელოვანი რამ თქვენს შესახებ, რაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ...

-გარდა მუსიკისა, მიყვარს ადამიანები და სიკეთის კეთება.

-თქვენი გუნდისა და ლაშა ნოზაძის კოლაბორაციაზე მოგვიყევით, ვისი იდეა იყო და, ხომ არ აპირებთ კიდევ თანამშრომლობას?

- ლაშა ნოზაძის იდეა იყო. გუნდმა 4 ხმაში გაშალა სიმღერა. სამწუხაროდ კონცერტზე კარგად არ ისმოდა, რეპეტიციაზე საოცრად კარგები იყვნენ ბავშვები, ყველა ხმა ისმინებოდა. თავად ლაშამ აღფრთოვანება ვერ დამალა, საგალობელივით ჟღერსო, სამწუხაროდ კონცერტზე ჩაიყლაპა. კოლაბორაცია შედგა. თანამშრომლობის გაგრძელების საკითხი ჯერ არ განხილულა. იმედს ვიტოვებ, კიდევ გვექნება შემოთავაზება....

-ამ დროის მანძილზე აქტიურად იყავით ჩართული როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ღონისძიებებში, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენი ჩართულობა?

-გუნდის ჩართულობა ღონისძიებებში, გასვლით ფესტივალებზე ,კონკურსებზე აუცილებელია. გასვლითი კონცერტებით ბავშვები ხალისდებიან, ისმენენ სხვადასხვა ანსამბლების შესრულებას, სწავლობენ სცენის კულტურას, ქცევას. მაყურებლისგან იღებენ გულწრფელ ოვაციებს, ტაშის ხანგრძლივობასაც აფასებენ. ბავშვებს უმაღლდებათ თვითშეფასება, მოტივაცია და ისევ ხალისით ბრუნდებიან რეპეტიციებზე, რათა კიდევ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა დაგეგმილ ღონისძიებებში და კიდევ ერთხელ განიცადონ ის სიხარული, რაც მათთვის დაუვიწყარია მთელი ცხოვრების განმავლობაში.

-სამომავლო გეგმებზე მომიყევით?

-სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, უმრავლესობამ დატოვა ანსამბლი, ბავშვები აბიტურიენტები არიან და ვეღარ შეძლებენ გუნდში მოღვაწეობას. ჯერ-ჯერობით, სანამ არ ჩამოვყალიბდებით, წელში არ გავიმართებით, რეპერტუარის შესწავლის შემდეგ, როცა შედეგს დავინახავ, ბავშვებთან ერთად დავგეგმავთ სამომავლო ღონისძიებებს.

პ.ს. ნინო დვალიშვილი დამსახურებულად მიემატა საპატიო მოქალაქეთა რიგებს, მისთვის მუსიკასთან ერთად, ბოლნისიც ამოსავალი წერტილია და ეს სტატუსიც ისევე ახარებს, როგორც პროფესიული წარმატებები, როგორც სცენის მტვერი და საყვარელი ქალაქისთვის არაერთგზის მოტანილი სახელი, ჯილდო და მქუხარე ოვაციები, ეს ნინო დვალიშვილია, სცენის დედოფალი, მუსიკის ოსტატი და ადამიანების გულებამდე, ბევრი ადამიანური ღირსებით მისული.

ტუბერკულოზი

1982 წლის 24 მარტს, გერმანელი მეცნიერის რობერტ კოხის მიერ გაკეთებული უდიდესი აღმოჩენიდან 100 წლისთავზე პირველად და მას შემდეგ ყოველწლიურად 24 მარტს აღინიშნება ტუბერკულოზის მსოფლიო დღე. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ტუბერკულოზის გლობალური ეპიდემიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ტუბერკულოზი ქრონიკული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკობაქტერია იწვევს. დაავადება უპირატესად ფილტვებში ლოკალიზდება, მაგრამ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს და დაზიანდეს ნებისმიერი ორგანო და სისტემა. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფილტვის ტუბერკულოზი. შედარებით იშვიათია ფილტვგარე (ცენტრალური ნერვული სისტემის, ძვლების, სახსრების, საშარდე და სასქესო ორგანოების, ლიმფური კვანძების და სხვა) ტუბერკულოზი.

ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირის სასუნთქ გზებში მოხვედრა დაავადებასა და ინფიცირებას ყოველთვის არ იწვევს. თუ გამომწვევი ჩხირი ფილტვის ქსოვილამდე მაინც მიაღწევს, მას უხშირესად ორგანიზმის დაცვითი ძალები აუვნებლებენ ან ბოჭავენ. ამ დროს ადამიანი ინფიცირებულია, მაგრამ არა დაავადებული. ტუბერკულოზის განვითარებაში გამოყოფენ ორ განსხვავებულ მდგომარეობას: ინფიცირებას და დაავადებას. ინფიცირებული ადამიანების დაახლოებით 90%- მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება ინფიცირებულად, კლინიკურად გამოხატული ნიშნების გარეშე. ტუბერკულოზური დაავადება ინფიცირებულთა დაახლოებით 10%-ს უვითარდება.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს დაავადების ჩამოყალიბებას, ადამიანის ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ტუბერკულოზური დაავადება ვითარდება იმუნური სისტემის არაადეკვატური პასუხის პირობებში. იმუნური სისტემის არაადეკვატური პასუხი შეიძლება დაკავშირებული იყოს მთელ რიგ ფაქტორებთან, კერძოდ: შესაძლოა იყოს სოციალური ფაქტორები: არასაკმარისი კვება, ნერვული სტრესი, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, მძიმე ფიზიკური შრომა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ანუ ყველა ის გარეგანი მიზეზი, რაც ზოგადად ორგანიზმის დაავადებებთან ბრძოლისუნარიანობას აქვეითებს. ასევე გავლენას ახდენს სამედიცინო ფაქტორები: ყველა ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც ორგანიზმს დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი, ესენია: აივ ინფექცია, შაქრიანი დიაბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადება, რევმატული დაავადებები. ტუბერკულოზისაგან ნაკლებად არიან დაცული აგრეთვე ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ჰორმონულ მკურნალობაზე იმყოფებიან ან ქიმიოთერაპიის, ან სხივური თერაპიის კურსს იტარებენ.

ტუბერკულოზი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი გავრცელება - ჯანმოს შეფასებით საქართველო MDR-TB გავრცელებით „მაღალი ტვირთის“ ქვეყანაა, თუმცა უკანასკნელ წლებში აღინიშნება კლების ტენდენცია. საქართველოში, 2021 წლის მონაცემებით, სულ დარეგისტრირდა 1645 ტუბერკულოზის შემთხვევა. სულ წარმატებული გამოსავალი დაფიქსირდა ახალი და რელაფსის შემთხვევების 87% - თან.

2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაიწყო და მოგვიანებით მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა ინტეგრირებული სკრინინგი სამ დაავადებაზე: აივ ინფექცია, C ჰეპატიტი და ტუბერკულოზი. სკრინინგი ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის ქსელის მეშვეობით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით. აღნიშნულმა მიდგომამ ხელი შეუწყო სკრინინგით მოცვის გაფართოებას და დაავადებათა აქტიურ გამოვლენას.

აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული პირი ლაპარაკის, სიცილის, მთქნარების და ხველების დროს გამოყოფს ბაქტერიებს ჰაერში. ახლოს მყოფი პირი ჩაისუნთქავს მიკრობის შემცველ ჰაერს და ამ გზით ხვდება მის ფილტვებში მიკობაქტერია, რამაც შეიძლება დაინფიცირება გამოიწვიოს.

ტუბერკულოზი ვრცელდება მხოლოდ ჰაერით!

ფილტვის ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი სიმპტომებია:

- ხველა (მ.შ. სისხლიანი ნახველით) 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული
- სხეულის ტემპერატურის მატება (37-38)
- ღამის ოფლიანობა
- წონის კლება
- უმადობა
- სისუსტე
- ტკივილი მკერდის არეში.

არ არის აუცილებელი, რომ ყველა სიმპტომი ერთდროულად არსებობდეს.

ფილტვგარეთა ტუბერკულოზის სიმპტომები დამოკიდებულია პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციაზე .

ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდებია:

- რენტგენოლოგიური გამოკვლევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ დააზიანა თუ არა ბაქტერიამ ფილტვის ქსოვილი;
- ნახველის ანალიზი, რომლითაც ვიგებთ, მრავლდება თუ არა ორგანიზმში მიკრობი.

სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში აუცილებელია მივმართოთ პირველადი ჯანდაცვის ქსელს. ყველა მუნიციპალიტეტის ამბულატორიულ-სტაციონარულ სამსახურს ჰყავს ფტიზიატრი და იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ჯანდაცვის ექიმი ექვს მიიტანს ტუბერკულოზზე, პაციენტი გადამისამართებული იქნება ფტიზიატრთან შესაბამისი კვლევებისათვის. ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევების გამოსაკვლევი ყველა სადიაგნოსტიკო ხარჯი დაფარულია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

რეკომენდაციები:

- თუ გაქვს ზოგადი სისუსტე, ოფლიანობა, უმადობა, მაღალი ტემპერატურა, მკვეთრი კლება წონაში და ეს სიპტომები გრძელდება 2-3 კვირაზე მეტ ხანს, აუცილებლად მიმართეთ ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებას.
- კარგი ვენტილაცია - ოთახის ხშირი და სწორი განიავება ისე, რომ ჰაერის ნაკადი მიემართებოდეს შენობიდან გარეთ. მხოლოდ ამ გზით მცირდება პაციენტის მიერ გამოყოფილი მიკრობების შემცველობა ჰაერში.
- ცალკე ოთახის ან კუთხის გამოყოფა - ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ბაცილაგამომყოფ პაციენტთან ურთიერთობის ხანგრძლივობისა და სიმჭიდროვის შემცირება.
- ტუბერკულოზი არ ვრცელდება ქურქლით, თეთრეულით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ხელის ჩამორთმევით. ამიტომ არ არის საჭირო საცხოვრებელი ადგილის დეზინფექცია.
- დაიცავით ხველის ეტიკეტი და სუნთქვის ჰიგიენა
- გახსოვდეთ, ტუბერკულოზი სწორი მკურნალობის შემთხვევაში იკურნება!

ბოლნისის მუნიციპალიტეტში გატარებული გენდერული პოლიტიკის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა

ქალთა საინფორმაციო ცენტრის წევრებმა, საქართველოში დანიის სრულუფლებიან ელჩთან და დანიურ ორგანიზაცია KVINFO-ს წარმომადგენლებთან ერთად, შეხვედრა ბოლნისში, სამიზნე ჯგუფებთან გამართეს. სტუმრებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ვალენტინა ნავერიანმა და გენდერული თანასწორობის საკითხთა განყოფილების უფროსმა ნინო კარგარეთელმა უმასპინძლეს. შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გენდერის კუთხით განხორციელებული პრაქტიკები. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ხაზი გაესვა გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის მნიშვნელობას, განხორციელებულ და დაგეგმილ ინტერვენციებს. აღსანიშნავია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს გენდერულ საკითხებზე, 2017 წლიდან ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, გენდერული პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით კი 2020 წელს შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხთა განყოფილება, რომელიც ახორციელებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას, ასრულებს სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს გენდერული სტატისტიკის წარმოებას.

შეხვედრას, რომელიც კულტურის ცენტრში გაიმართა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, პოლიტიკოსი ქალები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პროექტს „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებაში", რომლის ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტი ბოლნისია, დანიური ორგანიზაცია KVINFO-სა და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

შეხვედრის დასასრულს, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, კულტურის ცენტრის დირექტორმა სოსო კოპალეიშვილმა სტუმრებს ბოლნისის ისტორიული წარსულის უკეთ გაცნობის მიზნით გამოფენილი მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი სურათების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

Avropa İttifaqı tərəfindən maliyyələşdirilən layihənin ictimai müzakirəsi

Bu gün Bolnisi Bələdiyyəsinin konfrans zalında Avropa İttifaqı tərəfindən maliyyələşdirilən və Bolnisi Bələdiyyəsinin meriası Çexiya İnkişaf Agentliyi və Yerli Özünüidarəetmə Orqanları Milli Assosiasiyası ilə birgə həyata keçirdiyi layihənin ictimai müzakirəsi keçirilib. İclası merinin müavini Valentina Naveriani açıb, daha sonra Sosial-Sağlamlıq Xidmətinin Uşaqların Müdafiəsi və Dəstəyi Departamentinin rəhbəri Lela Kvirikaşvili həssas qrupların ehtiyaclarının təhlili ilə bağlı ətraflı məlumat verib. Sözügedən layihənin icrasına başlandıqdan dərhal sonra Bolnisi bələdiyyəsində sosial siyasətin və bələdiyyə sosial proqramlarının planlaşdırılması məqsədi ilə həssas hədəf kateqoriyalarının ehtiyaclarının araşdırılması üzrə işçi qrup yaradılıb və burada 5 hədəf kateqoriyası müəyyən edilib. Müəyyən edilmiş ehtiyaclar 2024-cü ilin sosial proqramlarında sosial proqramların planlaşdırılmasına əsaslanacaq. İctimai müzakirədə qeyri-hökumət və hökumət sektorları, donor təşkilatlar, bələdiyyə xidmətlərinin nümayəndələri, Çexiya İnkişaf Agentliyinin üzvü və sosial məsələlər üzrə çexiyalı ekspert iştirak edib. Görüşdə görülən işlərin təqdimatı sual-cavab rejimində davam edib və hədəf qrupları ilə işi əks etdirən videoçarxla yekunlaşıb.

Bolnisi Bələdiyyəsində həyata keçirilən gender siyasətinə dair təqdimat keçirilib

Qadın İnformasiya Mərkəzinin üzvləri Danimarkanın Gürcüstandakı səfiri və Danimarkanın KVİNFO təşkilatının nümayəndələri ilə birlikdə Bolnisidə hədəf qrupları ilə görüş keçirib. Qonaqları bələdiyyə merinin müavini Valentina Naverian və gender bərabərliyi şöbəsinin müdiri Nino Karqareteli qarşılayıblar. Görüşdə tərəflər gender baxımından həyata keçirilən təcrübələri bir-biri ilə bölüşüblər. Bolnisi Bələdiyyəsi gender siyasətinin, həyata keçirilən və planlaşdırılan müdaxilələrin lokallaşdırılmasının vacibliyini vurğuladı. Qeyd edək ki, Bolnisi Bələdiyyəsi gender məsələləri ilə bağlı fəal iş aparır, Gender Bərabərliyi Şurası 2017-ci ildən fəaliyyət göstərir, fəaliyyət planı və strategiyası təsdiq edilib, gender siyasətinin gücləndirilməsinin təşviqi məqsədilə 2020-ci ildə yaradılıb. Gender bərabərliyi istiqamətində dövlət siyasətini həyata keçirən Gender Bərabərliyi Məsələləri Şöbəsi tədbirlər planında üzərinə götürdüyü öhdəlikləri yerinə yetirir və gender statistikasının hazırlanmasını təmin edir. Mədəniyyət mərkəzində baş tutan görüşdə Bolnisi bələdiyyəsinin gender bərabərliyi şurasının üzvləri, qadın siyasətçilər və yerli qeyri-hökumət təşkilatlarının nümayəndələri iştirak ediblər. Qeyri-hökumət təşkilatlarının nümayəndələri öz təcrübələrindən danışıblar. Hədəflərindən biri Bolnisi bələdiyyəsi olan "Qadınların səlahiyyətlərinin artırılması və yerli siyasətin həyata keçirilməsində hərtərəfli iştirakı" Danimarkanın KVINFO təşkilatı və Danimarka Xarici İşlər Nazirliyinin dəstəyi ilə Qadın İnformasiya

Mərkəzi tərəfindən həyata keçirilir. Görüşün sonunda Gender Bərabərliyi Şurasının üzvü, Mədəniyyət Mərkəzinin direktoru Soso Kopaleişvili Bolnisinin tarixi keçmişi ilə daha yaxından tanış olmaq məqsədilə sərgidə nümayiş etdirilən maddi-mədəni irsi əks etdirən şəkillər barədə qonaqlara məlumat verib.

Bolnisidə "Şərab Festivalı 2023" keçirilib

Şərabçılığı, üzüm növlərinin müxtəlifliyi və xarakterik dad keyfiyyətləri ilə məşhur olan şəhər köhnə alman məhəlləsində "Şərab günləri" keçirildi. Oraya gələn qonaqlar yerli şərabçıların istehsal etdiyi quru, yarıquru, qırmızı və ağ şərabın dadına baxa bildilər. Tədbirdə mərkəzi və yerli hökumətin nümayəndələri iştirak ediblər. Baş nazirin təşəbbüsü ilə keçirilən "Şərab günləri 2023" festivalı müxtəlif tədbirlərlə dolu olub, Tsiskvili küçəsində yerli sahibkarların məhsulları sərgilənib, şoti bişirilib, Tatara bişirilib, sucuq hazırlanıb və şərab hazırlamaq üzüm şərab maşınında sıxılıb. yerində şərab kokteyli dadmaq mümkün idi. Dövlət tətili bütün seqmentlər üçün nəzərdə tutulmuşdur. Uşaqlar üçün müxtəlif inkişaf fəaliyyətləri olan əyləncə məkanları təşkil edildi. Gürcüstanda şərab günləri xüsusi dad keyfiyyətlərinə malik gürcü şərabını populyarlaşdırmaq, yerli üzüm sortlarını qorumaq və şaxələndirmək məqsədi daşıyır. Bolnisidə keçirilən bayram tədbiri "Alilo" ansamblı, ¼ qrupunun və Linda Adamiyanın konserti ilə başa çatıb.

"Çəhrayı Oktyabr" kampaniyası çərçivəsində Vətəndaş Bərabərliyi Platformasə Kea Qafqasiya layihəsinin benefisiarlarını qonaq edib.



Təşkilat sədri Samirə İsmayılova Bolnisi bələdiyyəsinin qadınlar klubunun üzvləri üçün maarifləndirici məlumat toplantısı keçirdi - həyata keçirilən və davam edən layihə ilə bağlı ekranlaşdırma mövzusundan danışdı. Tamamilə dövlət və benefisiar qruplar tərəfindən maliyyələşdirilən skrininq tədqiqatları və Milli Skrininq Mərkəzinin ünvanları ilə tanış etdi. "Skrininq mövzusunda hazırlanmış videoçarx nümayiş etdirdik, burada benefisiarların özləri dedilər ki, xərçəng hökm verici deyil! Vaxtında müayinə, problemin erkən mərhələdə aşkarlanması və düzgün müdaxilə sağlamlığın ilkin şərtləridir". Görüş sual-cavab rejimində keçdi. Kea Qafqasiya təşkilatı Kaxeti Regional İnkişaf Fondu ilə birgə Bolnisi də daxil olmaqla 8 hədəf bələdiyyədə "Qadın Gücü, Qadının Gələcəyi" layihəsini həyata keçirir, məqsədi iqtisadi təhlükəsizliyi, sahibkarlığı və kənd qadınlarının transsərhəd ticarət və biznes əlaqələrində bərabər iştirakını təşviq etməkdir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

სამთო საქმისა და გეოლოგიის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სამთო საქმისა და გეოლოგიის რიგით მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა.

კონფერენცია, სახელწოდებით „სამთო საქმისა და გეოლოგიის განვითარება ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოებისა და გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის თანამშრომლობით 2015 წლიდან რეგულარულად ტარდება. 2019 წლიდან კონფერენციის მთავარი მარდამჭერია კომპანია არემჯი.

კონფერენციაზე დამსწრე სტუმრებს სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, არემჯის კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მჭედლიშვილმა მიმართა და აღნიშნა, რომ კომპანია მომავალშიც გააგრძელებს დარგისთვის ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მხარდაჭერას.

ორდღიანი კონფერენცია გეოლოგიის, სამთო საქმისა და გარემოსდაცვითი პრობლემების შეფასებისა და გადაწყვეტის ღონისძიებებს მიეძღვნა. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების თანმიმდევრულ შესწავლას, მინერალური რესურსების კლასიფიკაციას, ბუნებრივი საფრთხეების მართვისა და პრევენციის ღონისძიებების განხილვას, წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და სწორი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას, ასევე ნარჩენების მართვას. დიდი ნაგებობების, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში არსებული საინჟინრო-გეოლოგიური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების შესწავლას, სამთო საქმის აქტუალური საკითხების განხილვას.

სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა, მათ შორის არემჯის სამთო და გეოლოგიის მიმართულების წამყვანმა სპეციალისტებმა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა კონფერენციაზე დარგის აქტუალური სამეცნიერო საკითხები და გამოწვევები ზეპირი მოხსენებებითა და სასტენდო მოხსენების ფორმატში წარადგინეს.

მარინე სანიკიძე

კომპანია არემჯის მინერალოგიური სამსახურის უფროსი

,,ძალიან მომწონს ჩემი პროფესია და სამუშაო. გარდა იმისა, რომ საინტერესოა, ასევე გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით და ბუნებრივი უცნაურობებით, რაც ჩვეულებრივი შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს. ამავე დროს მინერალოგობას სჭირდება მუდმივი განვითარება, მეტი და მეტი სიახლეების შესწავლა. იყო პროფესიით გეოლოგი, მოითხოვს იცოდე ოპტიკური ფიზიკა, ქიმია და აუცილებლად გამართული ქართული წერა, რომ შეძლო მიკროსკოპში დანახულის სხვისთვის გარკვევით აღწერა''- მარინე სანიკიძე ქალაქ ბოლნისში 1954 წელს დაიბადა. დაამთავრა ბოლნისის N1 საშუალო სკოლა, მუშაობა კომბინატში თავიდან სამთო გამამდიდრებელ სამშენებლო უბნის აღმრიცხველად შემდეგ კი ქიმიურ ლაბორატორიაში ლაბორანტად დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი 1979 წელს ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით მუშაობა კვლავ საწარმოში გააგრძელა.

,, თავდაპირველად მუშაობა დავიწყე მადნეულის საბადოს კარიერზე გეოლოგად, 4 წლის შემდეგ გადავედი გეოლოგიურ-ტექნოლოგიური კარტირების ჯგუფში ისევ გეოლოგად და 2 წლის შემდეგ, 1986 წელს, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მინერალოგიაში კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ, მუშაობა მინერალოგად დავიწყე და დღეს ვარ ამავე სამსახურის უფროსი.

ჩემი მოვალეობაა ვუხელმძღვანელო საბადოზე მოპოვებული მადნების და მათი ტექნოლოგიური გადამუშავების პროდუქტებისგან შლიფების დამზადებას, და მათი საშუალებით პოლარიზაციულ მიკროსკოპში შევისწავლო მათი მინერალური შედგენილობა, ფორმები, ზომები, ურთიერთშენაზარდები და ა.შ., რაც განაპირობებს მინერალური ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას, აადვილებს მადნის გამდიდრების მეთოდებს და კონტროლს უწევს ტექნოლოგიურ პროცესს. იგი აუცილებელი პირობაა გეოლოგებისთვის და ტექნოლოგებისთვის სწორად წარმართონ მადნის მოპოვება, დასაწყობება და ტექნოლოგიური გადამუშავება.

აქ მუშაობის სამი ეპოქა გამოვიარე, საბჭოთა კავშირის დროინდელი; ე.წ. 90-იანები(სტაგნაციის პერიოდი) და დღევანდელი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების პერიოდი, რომელიც დღითი-დღე წინ მიიწევს და ჩვენი სამუშაო გარემოც ყოველმხრივ უმჯობესდება. დღეს კომპანია არემჯი წარმატებულია და ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს ფერადი მეტალურგიის ფლაგმანს, საამაყოა, რომ მონაწილეობას იღებს ახალი თაობის სწავლა-განვითარებაში და მათ დასაქმებაში.''

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.
სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.